ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 3 ИЮНЯ 1920 ГОДА

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 53 (20699) — კვირა, 4 მარტი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

მკითხველს ვთავაზობთ

2 გვერდი

რამდენიმე წლის წინათ რესპუბლიკაში მომხდარი თვითმფრინავის გატაცების ფაქტი, როცა მსხვერპლი გახდა რვა ადამიანი და ამაზე მეტი კი დაიჭრა, დღემდე არ ასვენებს საზოგადოებრივ აზრს; კვლავ დიდია მითქმა-მოთქმა და ობიექტურობის დადგენის სურვილი. ჩვენი კორესპონდენტი მ. კარბელაშვილი ცდილობს ჭუშმარიტებაში გარკვევას.

3 გვერდი

ნიკო ბაგრატიონს, რომელიც საქართველოში ნიკო ბურის სახელით არის ცნობილი, პატივს სცემს ჩვენი საზოგადოება. დღეს, მაინც ახლებურად უნდა გავიაზროთ მისი, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლი რაინდის საქციელი. ამ სულისკვეთებით არის გაჟღენთილი ია მუხრანელის (ბაგრატიონის) წერილი „თავისუფლების რაინდი“.

4 გვერდი

ერთი კვირა ფოტოსურათებში





ფოტოობიექტივი ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო ერთი კვირის მანძილზე მომხდარ ამბებს გვაცნობს.

...თბილისის თვითმფრინავსაშენებელ საწარმოო გაერთიანებაში ამიერიდან იარსებებს სახალხო მოხმარების წარმოების ჭარხანაც. იგი გამოუშვებს ისეთ დეფიციტურ საქონელს, როგორიცაა ალუმინისა და ემალის ქვაბები, სამზარეულოს ავეჯის ფურნიტურა, ველოსიპედები და სხვა. სურათზე ხედავთ ოპერატორებს მარიამ სამსონაძესა და მზია კიკაჩეიშვილს, რომლებიც მუშაობენ თერმოპლასტების გამომშვებ ავტომატთან.

...ხობის რაიონის სოფელ ბიის კოლმეურნეობის მექანიზატორებმა დაამთავრეს პირუტყვის საკვები ნაკვეთების მზადება საგაზაფხულო თესვისათვის. მათ ყაირათიანად გამოითვალეს საკვების საჭირო რაოდენობა და სასილოსე სიმინდისათვის გამოყვეს ორმოცი ჰექტარი, 45 ჰექტარს დაიკავებს სამარცვლე სიმინდი, მნიშვნელოვან ფართობზე დაითესება სოიას კულტურა. ფოტოზე აღბეჭდილია ხვნის მიმდინარეობა ბიაში.

...რუსთაველი მეტალურგები მუყაითად საქმიანობენ. მათ შორის არიან № 5 ლუმლის მეფოლადეთა ბრიგადები. სურათზე ხედავთ ბრიგადირ ვილჰელმ ყურაშვილსა და მის თანაშემწეს ომარ ზურაშვილს.

...სტუდენტი ახალგაზრდობა კვლავ გამოხატავს თავის აქტიურ დამოკიდებულებას მტკივნეული საზოგადოებრივი საკითხებისადმი.

...ერთი წელიც არ არის, რაც შეიქმნა საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო-სახწავლო-საწარმოო გაერთიანება „შიდულება“. ამ მეტად საინტერესო საწარმოს დაბადება უშუალოდ არის დაკავშირებული პროფესორ სოზარ იაკობაშვილის სახელთან, რომელიც ამჟამად მისი გენერალური დირექტორია. აქ ტექნოლოგიური განუოფილების უფროსის, დოცენტ გრიგოლ ხუციძის ხელმძღვანელობით (სურათზე სწორედ მას ხედავთ) შეიქმნა სრულიად ახალი სქემისა და მოქმედების, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიური პროცესის პლაზმური ჭრის დანადგარი „ივერია“, რომელიც ჩვენს ეროვნულ სიამაყედ შეიძლება ჩაითვალოს.

...ქედახა და მთელს აჭარაში კარგად იცნობენ თვითმოქმედი შემოქმედების საკავშირო კონკურსის ორგზის ლაურეატს კემალ თურმანიძეს. იგი თავისი შემოქმედებით სიხარულს ანიჭებს მის თაყვანისმცემლებს. სურათზე ადგენდილია თუ როგორ იქმნება ხალხური ხელოვნების კიდევ ერთი ნაწარმოები.

თედო ნიკოლაიშვილის, დავით იაკობაშვილის, ჯავარ ლომაძის („კომუნისტი“), ვარლამ ვალიშვილის, სპარტაკ ყურაშვილის, გიორგი შარაშენიძის, ანზორ ჩანტლაძის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტო.

ვალერიან ადვაძე:

„რატომ უნდა ზოგიერთ რესპუბლიკას კავშირიდან გასვლა...“

სიტყვა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიაზე 1990 წლის 26 თებერვალს

პაპიცაშვილო დეპუტატებო!

როდესაც მეკითხებიან ჩვენს პარლამენტზე, პარლამენტარებზე, მე ვუპასუხებ: „ვეკვიანდებით, ბრძენდებიან“.

მაგრამ ჩვენ კი გვესმის და ვგებულობთ ყოველთვის ბრძნულ აზრებს და რჩევებს, რომლებიც პარლამენტის ტრიბუნიდან გამოითქმება? ანდა კანონები, რომლებიც მივიღეთ და ვღებულობთ, იმოქმედებენ ცხოვრებაში? არადა, ჯერ კიდევ ხომ თომას ჯეფერსონი აღნიშნავდა, რომ კანონების აღსრულება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი შექმნა.

და აი, აქაც უზენაესი საბჭოს მესამე სესიის სხდომის ჯერ კიდევ პირველ დღეს, 14 თებერვალს, დეპუტატმა ბოჩორიშვილ (და არა მარტო მან), თქვა, რომ ჩვენ პირველ რიგში უნდა განვიხილოთ ერთი მთავარი საკითხი: სსრ კავშირის აგებულების შესახებ. თუ ამას არ ვიზამთ, ჩვენი კანონები არ იმოქმედებენო.

რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ აქ ვღებულობთ ერთიან, ერთნაირ კანონებს ყველასათვის, მთელი ქვეყნისათვის — ჩუკოტკიდან კარპატებამდე, არხანგელსკიდან ბათუმამდე. სხვადასხვა გეოგრაფია, სხვადასხვა ხალხი თავისი სპეციფიკური ისტორიით, ტრადიციებით, კულტურით, თავისებურებებით. ჩვენ გვსურს ყველაფრის უნიფიცირება, ყველას ერთნაირად შეკერეა. შემდეგ კი გვიკვირს, რომ ზოგიერთი რესპუბლიკა ამ კანონებს არ ასრულებს. გაისმის ასეთი ჩივილი: „რესპუბლიკები თავს თვლიან თავისუფლად საკავშირო კანონების შესრულებისაგან მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ისინი მათ ხელს არ აძლევსო“. ეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ჩვენგან, ყველასაგან პატივცემული რიჟკოვის სიტყვიდანაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1990 წლის თებერვლის პლენუმზე.

მე ეს უცნაურად მეჩვენება. რატომ მივიღეთ ისეთი კანონები, რომლებიც ლახავენ მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესებს? რატომ არა კონსენსუსის საფუძველზე? როგორ, კავშირმა შექმნა მოკავშირე რესპუბლიკები თუ პირიქით?

და კიდევ ისმის ხმები კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესების ოპტიმალურ შეთანაწყობაზე. რაზეა აქ ლაპარაკი? განა კავშირს აქვს რაიმე სხვა, განსაკუთრებული ინტერესები გარდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკების საერთო ინტერესისა? ისეთი რამ არ შეიძლება იყოს, არ შეიძლება!

ამჟამად ჩვენს მიერ მიღებული კანონები პრაქტიკულად ბევრი მოკავშირე რესპუბლიკის მიერ იქნება იგნორირებული. ჩვენ არ ვმონაწილეობდით, მაგალითად, საკუთრების კანონსა და მიწის კანონის განხილვაში. ჩვენ ჩვენი კანონები გვაქვს მომზადებული და რესპუბლიკის ახალი მოწვევის უზენაესი საბჭო განიხილავს.

ამ მოკლე შესავლის შემდეგ მსურს გადავიდე იმ კანონზე, რომელსაც დღეს ვიხილავთ. მსურს ვთქვა, რომ ჩვენი საუბარი შარშანდელი წლის 16 ოქტომბერს და 20 ნოემბერს, როცა იხილებოდა ამ კანონის პირველი პროექტები, დარჩა ღაღადისად უდაბნოსა შინა.

რაზე იყო იქ ლაპარაკი? ჩვენ ვლაპარაკობდით, რომ, თუ ნამდვილად ვუბრუნდებით ერთიან სამოკავშირეო სახელმწიფოში საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების ნებაყოფლობითობას, მაშინ ცენტრმა „ზემოდან“ დოზებით კი არ უნდა მისცეს უფლებები მოკავშირე რესპუბლიკებს, არამედ, პირიქით, თვით მოკავშირე რესპუბლიკები უნდა წყვეტდნენ იმას, რასაც ისინი ამჟამად თავს ვერ გაართმევენ, და თვით ახდენდნენ თავიანთი ამა თუ იმ უფლების დელეგირებას კავშირისათვის.

ეს იქნებოდა მანიშნებელი უნიტარიზმისა და ცენტრის დიქტატისაგან უკან დახევისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1990 წლის თებერვლის პლენუმის დებულების საფუძველზე ფედერალიზმის ახალი გგების საკითხის ირგვლივ, რომელიც ეფუძნება თანასწორუფლებიანი რესპუბლიკების კავშირის სახელშეკრულებო საფუძველს. კანონის პროექტში არ არის ეს ახალი იდეოლოგია, არ არის ახალი კონცეფცია, რჩება ცენტრის დიქტატი მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიურ ფორმირებათა მიმართ.

ახლა, მოდით, ვნახოთ, რას იტოვებს ცენტრი თავისთვის?

— სამეურნეო საქმიანობის საკანონმდებლო საფუძვლების დადგენა, ესე იგი იმ ჩარჩოების განსაზღვრა, რომლის გარეთაც მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები ვერ შეძლებენ გასვლას.

— შემდეგ, საგადასახადო სისტემის ორგანიზაცია;

— ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებისა და პროგნოზების დამუშავება;

— ფასწარმოქმნის, საფინანსო-საკრედიტო სისტემის და ფულის მიმოქცევის რეგულირება;

— გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების საერთო ნორმებისა და წესების დადგენა;

— ენერგეტიკული სისტემის, ტრანსპორტისა და სხვათა მართვა;

— დასაქმების, მოსახლეობის რესპუბლიკათაშორისი მიგრაციის, სახალხო განათლების და

(დასასრული მე-8 გვ.).

წერილები „კომუნისტს“

დროულად გამოვასწოროთ

დაშვებული შეცდომა

1985 წელს გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტი ეკონომიკის ინსტიტუტად გადაკეთდა. ნუ მოვყვებით იმის ძიებას, კონკრეტულად ვისი მიზეზით მოხდა ეს რეორგანიზაცია. ერთი ცხადია: დაშვებულია შეცდომა, შეცდომა იმდენად მძიმე, რომ იგი დანაშაულის ტოლფასია. იმხანად, როდესაც აღნიშნული რეორგანიზაცია ხდებოდა, პარტიის ცკ-ის დავალებით მე ვმონაწილეობდი გორის ინსტიტუტის მუშაობის შემოწმებაში და სწორედ მაშინ შევიტყვე, რომ იგი ეკონომიკის ინსტიტუტად უნდა გადაეკეთებინათ. მე იმთავითვე უარყოფითად განვეწყვე ამ აქციის მიმართ, სწორედ იმ მიზეზთა გამო, რომლებზეც ყურადღებას ამახვილებს პ. ჩხეიძე „სახალხო განათლებაში“ ა. წ. 10 იანვარს გამოქვეყნებულ წერილში „როგორ ვემზადებით“? ცხადია, აღმაშფოთებელი იყო თვით ფაქტი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი პედაგოგიური ინსტიტუტის, გორის საოსტატო სემინარიის მემკვიდრის გაუქმებისა. გაუმართლებელი იყო ისიც, რომ მთელი რეგიონი, თანაც ისეთი მნიშვნელოვანი რეგიონი, როგორიცაა ქართლი, რჩებოდა უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის გარეშე. ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი რომ ამ დანაკლისს ვერ ანაზღაურებდა, ეს იმთავითვე ცხადი იყო. რაც მთავარია, მაშინვე შემაშფოთა იმან, რომ გორს დააკლდებოდა პედაგოგიური და სამეცნიერო ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც მძიმე დაღს დაასვამდა ამ ქალაქის კულტურულ ცხოვრებას. როგორც დღეს ირკვევა, ჩემი ყველა შიში გამართლდა.

კიდევ ერთი გარემოება: ნუროვის ეწყინება და, არა მგონია, გორის ეკონომიკის ინსტიტუტში ბუღალტერ-ეკონომისტთა კადრები მომზადება იმდენად მაღალ დონეზე იდგეს, რომ ეს თუნდაც მცირე კომპენსაციას იძლეოდეს იმ დიდი დანაკლისისა, რომელიც პედაგოგიური ინსტიტუტის გაუქმებას მოჰყვა. მე კარგად ვიცი, რა ხარვეზები ჰქონდა ამ დარგის და, საერთოდ, ეკონომისტთა მომზადების საქმეს თვით თბილისის უნივერსიტეტშიც კი და არ მგონია, მას მერე ვითარება დიდად შეცვლილიყო და გორში უკეთესი პირობები შექმნილიყო. მაშასადამე, არც ამ მხრივ იყო გამართლებული ზემოაღნიშნული ღონისძიება. იმთავითვე უარყოფითად განვეწყვე-მეთქი ამ აქციისადმი, ვამბობ, მაგრამ, ცოდვა გამოტეხილი სჯობია და ზეპირი განცხადების მეტი არაფერი გამიკეთია.

ცხადია, ადამიანებს ეზარებოდა ამ საქმეში ჩაბმა, ეშინოდა, ალბათ, ბევრ ადამიანს ეგონა, ეს ერთ-ორ კვირაში ან ერთ-ორ თვეში ... ეს ... ეს ... ეს

მწერალი და ცხოვრება

განსაცდელი



ნეტავი თუ მოიპოვება სადმე ქვეყნად ბუნების ისეთი ხელთუქმნელი სილამაზე, რიონის ზემოწელში რომ შეიძლება ნახო კაცმა. დიახ, ხელთუქმნელი, სწორედ ხელთუქმნელი, ვინაიდან ბუნების სიმშვენიერეს, თქვენს ალტაცებას რომ ინვევს, დასაბამიდან დღემდე აქ კაცის ხელით არაფერი მიმატებია. წიწვიანი ტყით შემოსილი, ალაგ-ალაგ შენაკადი ხეობებით განტოტვილი, ზურმუხტის ფერი ალპური ზონით და ლურჯი საჯიხვეებით ცის ტატნობამდე აჭრილი დაკბილული თხემები აქაურ კაცს მზამზარეულად რგებია, იცხოვრე, გამრავლდი და გაიხარეო.

სამყაროს შემოქმედმა აქაურობას არაფერი დააკლო, არც ტყე, არც მინდორი, არც მთის ბროლივით გამჭვირვალე ჰაერი და არც დედამინის გულიდან ამოქუხებული შუშხუნა წყაროები, ყოველ ნაბიჯზე პირის გასასველებლად რომ გეპატიჟებიან და შემდეგ თავპირისმტვრევით ეშვებიან დედა-რიონის ტალღებში ჩასახვევად. როგორ არ უნდა შენატრო იმას, ვინც ამ მიწიერ სამოთხეში დაბადებულა და აქ ფეხი აუდგამს! მთელი ქვეყნიერება რომ კიდით კიდემდე შემოატარო, მას ხომ ვერაფრით გააკვირვებ, ის ხომ თავად სასწაულის შვილია!

ოდესღაც, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, საქართველოს ეს კალმით ნახატი კუთხე, მთის რაჭა, მჭიდროდ დასახლებული, ხალხმრავალი მხარე იყო. შობლიურ ბუნებასთან შესისხლხორცებული აქაური კაცი იმით კმაყოფილდებოდა, რაც ღმერთმა მისცა, გული სხვაგან არსაით გაურბოდა, მიწას ებრძოდა, ჭირნახული მოჰყავდა, ნადირობდა, შინაური პირუტყვის გამოსაკვებად ცერად დაქანებულ სათიბებში თივას თიბავდა, მრავალრიცხოვან ოჯახს არჩენდა, კვირა-უქმედღეს ეკლესიაში დადიოდა, პირჯვარს იწერდა, შობა-ახალწელინადს ითენებდა, საალდგომოდ კვერცხებს ღებავდა, მტერსა და მოყვარეს შესაფერის პატივს მიაგებდა და ცხოვრებაც საუკუნიდან საუკუნეში აგრე მიედინებოდა.

ერთი ნაკლი კი გამოჰყვა ღვთისაგან კურთხეულ ამ ხეობას. ნაადრევი თოვლი იცოდა. ჩამოჰყრიდა გიორგობისთვეში და მარტის დამლევამდე ძვრას არ უზამდა. აბა, ასეთ დარში რაღა უნდა გაეკეთებინა ზემორაჭველ კაცს! ერთადერთი საკაცო საქმე ბოსელში დაბმული შინაური პირუტყვისათვის საკვების დაყრა და მისი დასარნყულებლად გამოშვება იყო. დანარჩენი დრო მხართეძოზე წოლაში და ნათესავ-მოკეთეებთან მისვლა-მოსვლაში უნდა გაეტარებინა. გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. ასე აიდგეს ფეხი აქაურმა ხუროებმა და გარე სამუშაოზე დაიწყეს სიარული, რათა ოჯახში ორი გროში ფული შემოეტანათ. სად არ ნახავ მათი ოქროს ხელით აშენებულ სახლებს, იმერეთში თუ გურიაში, ქართლში თუ კახეთში, აფხაზეთში თუ სამეგრელოში!

გამოზაფხულზე, როცა ულელში ხარის შებმის დრო მოაწევდა, ყველა უკვე შინ იყო, მამა-პაპისაგან მემკვიდრეობით მიღებულ, პატიოსანი ოფლით გაპოხილ მინას, სახნისი ფენაფენა რომ აბრუნებდა, გამაბრუებელი სუნი ასდიოდა და იმ მადლიან ნიადაგში ახალი სიცოცხლე, სოფელ-ქვეყნის საზრდელი ისახებოდა.

ერთ ავად მოსაგონარ დღეს ბარიდან ვიღაც ტყავისქურთუკიანი უცხო კაცები ამოვიდნენ, მარჯვენა თეძოზე მაუზრის ბუდე რომ სცემდათ, შიგადაშიგ ადგილობრივი მალემრწმენებიც აიყოლიეს, სოფელი კლასებად, მდიდრებად და ღარიბებად დაჰყვეს, მათ შორის შეურიგებელი შუღლი ჩამოაგდეს, გონიერებითა და დაუღალავი მეცადინეობით გამორჩეული გლეხკაცები, ვისაც ერი და ბერი ჭკუას ეკითხებოდა, მშრომელი ხალხის უსინდისო მყვლეფელებად გამოაცხადეს, შინ მიუხტნენ, აანოკეს, წარმოუდგენელი სისასტიკით დაარბიეს, უძრავ-მოძრავი ქონება ჩამოართვეს, სოფლიდან ცხრა მთას იქით გადაასახლეს და ამ მეორედმოსვლით გულგახეთქილ ხალხს, სოფლის ღარიბ-ღატაკს, ახალი ცხოვრების დაწყება უქადაგეს.

ეს იყო ისტორიაში შანთით ამომწვარი ოცდაათიანი წლები, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ყბადაღებული საყოველთაო კოლექტივიზაცია გამოცხადდა. იგი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა, მაგრამ მრავალი ათეული წლის შემდეგ შედეგი ყველგან ერთნაირი მივიღეთ. ექსტრემისტულად განწყობილმა მმართველმა ზედაფენამ, რომელსაც დღეს ერთადერთ პიროვნებაში აერთიანებენ, მეურნეობის და გასაღების უმაღლეს ფორმას — კოოპერირებას ცარიელ ადგილზე, ყოველგვარი სოციალური საფუძვლის წინასწარ შექმნის გარეშე მიმართა. მან დაანგრია პატრიარქალური საგლეხო მეურნეობა, მექანიკურად თავი მოუყარა სოფლის დოვლათს, ჯერ კიდევ გუშინ თითოეული კომლის კერძო საკუთრებას რომ შეადგენდა და საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ერთპიროვნული მეურნეობა ე. წ. კოლექტიური მეურნეობით, კოლმეურნეობით შეცვალა. ძირფესვიანად დამსხვრეული კერძო საკუთრების ადგილზე გაჩნდა ე. წ. საერთო-სახალხო საკუთრება, უფრო სწორად კი არავის ყანა, არავის ვენახი, არავის ტყე, არავის სათიბი, არავის საძოვარი, არავის ხარ-ძროხა, არავის თხა და ცხვარი...

რა მოხდა ბოლოს? გაჩანაგდა არავის ტყე, ბუჩქნარმა და ეკალბარდმა გადაიარა არავის სათიბ-საძოვარი, შიმშილმა და მოუვლელობამ გაწყვიტა არავის პირუტყვი, გამოიფიტა და მეურნეობისათვის უვარგისი გახდა გლეხკაცის გამუდმებულ მზრუნველობას და ლოლიავს ჩვეული არავის მინა, დაეცა მოსავლიანობა, დაიმშა ქვეყანა.

ეგ კიდევ არაფერი! ვინმეს საღი აზრი რომ არ დაბადებოდა და არ ეყვირა, მეფე შიშველიაო, დამყარდა პოლიციური რეჟიმი, დაინერგა შიში, ძრწოლა, უნდობლობა ადამიანისა ადამიანის მიმართ, მოიშალა ძველი კეთილი ზნე-ჩვეულებანი, მამა-პაპური უქმეები და დღესასწაულები. მათი ერთგულება საზოგადოების პოლიტიკური საფუძველების ძირის გამოთხრად მონათლა, შეიბილწა წმიდათა-წმიდა ქართული ეკლესია, ხალხის ზნეობრივი მთლიანობის საფუძველთა საფუძველი. ადამიანებს აკვნიდანვე დაუწყეს ჩაგონება ახალი რელიგიისა, მარქსიზმ-ლენინიზმისა, რომელსაც არც მშობელი დედა სწამდა, არც მამა, არც სამშობლო და არც სამართლიანობა. სამშობლო მანამდე აღარავის გახსენებია, ვიდრე ჰიტლერმა რკინით შეჭედვნული დივიზიები არ დასძრა და კომუნისტური იმპერიის საზღვრები არ დაარღვია. აი, სწორედ მაშინ მიმართეს მივიწყებულ სიტყვა „სამშობლოს“, რაც იმას მოასწავებდა, რომ არავითარი ე. წ. მსოფლიო პროლეტარიატის საერთო მიზნები არ არსებობს და ყველა ერს საკუთარი ეროვნული სახლი აქვს, რომელიც მტრის ძალადობისაგან უნდა დაიცვას!

რა გასაკვირია, თუ მთელ საზოგადოებასთან ერთად, საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ზნეობრივი კოდექსით რომ იყო შეკრული, სოფელიც მოიშალა, გაღატაკდა და ოდესღაც ქვეყნის მარჩენალი და მასაზრდოებელი სხვისი ხელის შემყურე გახდა.

წერილი მთის რაჭის სოფლებზე საუბრით დავიწყე და ისევ იმას დავუბრუნდები. მე ამ სამიოდე კვირის წინ ვიყავი იქ, იმან, რაც ვნახე, გული მდულარებით ამივსო და არ შემიძლია, არ ვიყვირო, მთელ ქვეყნიერებას არ გავაგებინო, რომ უფსკყაბარდო-ბალყარეთსა და ოსეთში, მინერალური წყლებისა, ნალჩიკისა და ვლადიკავკაზის მიდამოებში. ქედგადმოღმელი მოსახლეობის მასობრივი აყრა უწინარეს ყოვლისა მაშინ განხორციელდა, რიცა საქართველოს რუკაზე აქამდე უცნობი ქლუხორის რაიონი გაჩნდა და ვიღაც უფლებამოსილი პირის ნება-სურვილით იქ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ძალად აყრილი მოსახლეობა ჩაასახლეს. მერე, როგორც ცნობილია, ხელოვნურად შექმნილი ქლუხორის რაიონი გაუქმდა, კვლავ რუსეთის ფედერაციას შეუერთდა, მაგრამ სრული ასიმილაციის, გარუსების აშკარა საფრთხის წინაშე მდგომი ქართული მოსახლეობა, მათ შორის მთის რაჭის მკვიდრნი, იქ დარჩა და დღემდე სამშობლოსაგან ხელის განვდას ელოდება.

შარშან, ზაფხულში, მე ჩემი საკუთარი თვალით ვნახე, რიონი რომ ადიდდა, ღებიდან და მამისონის უღელტეხილის მისადგომებიდან ვიდრე ონამდე სახელმწიფო გზა, რომელზეც ოდესღაც, 1725 წელს, სამშობლოდან რუსეთს მიმავალმა მეფე ვახტანგ მეექვსემ და მისმა ათასორასკაციანმა ამალამ გაიარა, მთლიანად წალეკა, უმეტეს ადგილებში სრულიად გაუვალი გახადა, წაიღო ხიდები, ბოგირები, ბონდები, ხოლო გზისპირა სოფლები დამეწყრა და ზოგი სახლი და კარმიდამო ხეობაში ჩამოიტანა. შემზარავი დასანახავი იყო გაგიჟებული მღვრიე მდინარე, კლდოვან კალაპოტში რომ ვერ ეტეოდა და აქეთ-იქით ტორტმანით ასკდებოდა. ძირი გამოუთხარა მაღალი ჯებირებისა და გოდორყოლების უკან განლაგებულ ონის სამრეწველო სანარმოებს, საწყობებს, პირველ საშუალო სკოლას...

ტრაგედია გარდაუვალი იყო, რაიონის ხელმძღვანელებს რომ არ ემარჯვათ, ხალხი სტიქიის წინააღმდეგ საბრძოლველად არ დაერაზმათ, ონსა და უნერაში გამომწყდეული ათასობით დამარ მჯდარა. ერთი თვის განმავლობაში ადგილობრივი ძალებით მოხერხდა გზის იმდაგვარად აღდგენა, რომ კურორტებისა და სოფლებისათვის პირველი მოთხოვნილების საგნები მიეწოდებინათ და შემდეგ რაიონის ცენტრთან კავშირის დასამყარებლად სარეისო ავტობუსებიც დაენიშნათ.

რიონის ზემოწელის ორივე სოფელი, ღები და ჭიორა, რომელთაც ჩვენ შუა ზამთრის დიდთოვლობის დროს ვერტმფრენით ვესტუმრეთ, უწყალო მტრის მიერ აოხრებულსა და იავარქმნილს მიაგავს. აფსუს! ჯერ კიდევ ამ მეოთხედი საუკუნის წინათ მათ ნახვას არაფერი ჯობდა. მომკვდარა და დავიწყებას მისცემია თითოეული მკვიდრის სურვილი, მშობლიურ სოფლისათვის რაიმე სულის საცხონებელი გააკეთოს. ისიც, ისევე როგორც ტყე და მინდორი, არავისად ქცეულა. ვიღაც საიდანღაც უნდა მოვიდეს და აქაური საქმე იმან უნდა გააკეთოს. საღალამათი ადამიანები სხედან და ელიან. არა, მე მათ ყველაზე ნაკლებ ვადანაშაულებ. ეს ინერციაა, ჩვენმა დრმმ და საზოგადოების სოციალურმა წყობამ რომ მოიტანა. მან ჩაკლა ადამიანში ინიციატივა, შემოქმედების სიხარული, გააბატონა საზოგადოების ყველაზე უფრო საშინელი სენი — გულგრილობა. ის ღვთისნიერი თაობა უკვე გადასულია, სოფლის ჭირ-ვარამი საკუთარ ჭირ-ვარამად რომ მიაჩნდა და მზად იყო, მოყვასის წყლულს მალამოდ დასდებოდა. ათოვს საძირკვლამდე დანგრეულ სოფლის ეკლესიას. სხვადასხვა დროისა და რანგის სოფლის ხელმძღვანელებს, სოფელს პლანტატორის მათრახით რომ მართავდნენ, მისი კუთხის ქვები აქეთ-იქით წაულ-წამოულიათ ფერმის ბოსლებისა და სხვა ნამშრალების ასაგებად. დღეს ის ბოსლები და ნამშრალებიც დანგრეულია, აღარც მტერს არგია და აღარც მოყვარეს, სოფელს კი კისერზე აწერია, თითქოს ის ამა და ამ ღირებულების მქონე სამეურნეო შენობების მფლობელი იყოს.

თავის დროზე ყოველად უგემოვნოდ, საჭიროების გაუთვალისწინებლად, ეკოლოგიური თვალსაზრისით უადგილო ადგილას აშენებული ბოსლები ცარიელია. იქ აღარც მენველი და არც სახორცე პირუტყვი აღარ არის. რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებთან შეთანხმებით რძის, ყველისა და ხორცის საკალდებულო დამზადების კორექტირება მომხდარა და პირუტყვი, რაც გადარჩა, ცალკეული ოჯახებისათვის მიუბარებიათ, იქნებ სული მაინც შეარჩინონო.

მაშ, რა ექნათ? რომ აღარ არის სხვა გზა?

ამ ათი თუ თხუთმეტი წლის წინათ ვიღაც ჭკუის კოლოფს ზემოთ, სულ ზემოთ, ობროდული აზრი დაებადა: მოდი, კოლმეურნე გლეხობას, მიწაზე რომ არის მიჯაჭვული და სასოფლო-სამეურნეო ჭირნახული მოჰყავს, შრომის ნატურით ანაზღაურება აღვუკვეთოთ და ჯამაგირი დავუნიშნოთო.

თქმა და ქმნა ერთი გამოდგა. მოისპო ერთადერთი და უკანასკნელი სტიმული სოფლად შრომით დაინტერესებისა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ გლეხსა და მისი ხელით მონეულ მოსავალს შორის მესამე ძალა ჩადგა. ამიერიდან გლეხს კოლმეურნეობის სალაროში მიღებული ფულით უნდა ეყიდა ყველი, რომელიც თავისი ხელით ამოიყვანა, მტკივანი ყურძენი, თავისი ხელით რომ მოწყვიტა...

ხომ გახსოვთ წითელი ტრანსპარანტები, რთვლობაზე საავტომობილო გზების გარდიგარდმო რომ ჭიმავდნენ: „ყოველი მტკივანი ყურძენი — სახელმწიფოს!“ ასე გაითელა ადამიანის ადამიანური უფლება, ასე შევნებლის სამშვიდობოზე გამოსაყვანად ვერტმფრენები რომ არ დაებარებინათ და სასწრაფო ევაკუაცია არ დაეწყოთ!

მთის რაჭის სოფლებს — ღებს, ჭიორასა და გლოლას, კურორტებს უწერასა და შოვს ქვა აღმართში მიეწიათ: ისინი მთლიანად მოწყდნენ გარე სამყაროს. დაიმეწყრა ღების ახალი უბანი. ოცდაათზე მეტ ოჯახს გარდაუვალი საფრთხე დაემუქრა. უკეთესი დღე არც მოსახლეობისაგან სანახევროდ დაცლილ დანარჩენ უბნებს და ასევე მტრის გულის გასახარებლად გაძვალტყავებულ ჭიორას დასდგომია.

ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, რომ რაიონის ხელმძღვანელობა გულხელდაკრეფილი

— თუ გახსოვთ, ძვირფასო ღებელებო, რომ თქვენი სოფელი სასაზღვრო სოფელია, საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი კუთხე? ფასის მთაზე, საიდანაც რიონი გამოედინება, რესპუბლიკის საზღვარი გადის. იმის უკან, ქედგადაღმა, სხვათა და სხვათა საცხოვრისია!

— გვახსოვს, როგორ არ გვახსოვს, ჯერ აქ ისე არავინ გამოყრუებულა, ეგ რომ არ ახსოვდეს!

— ჰოდა, თუ თქვენ თქვენი სოფლის სიყვარულს გულიდან ამოირეცხავთ, საზღვარს გააშიშვლებთ და უკეთესი ცხოვრების საძებრად ქვეყნის სხვა კუთხეებს მიაშურებთ, როგორ ატყობთ, ამით საქართველო არ დასუსტდება, მოსალოდნელი საფრთხის წინაშე არ აღმოჩნდება?

— მაშ, რა ვქნათ, როცა არავითარი საშველი არ არის? სოფლის სიყვარულის გულიდან ამორეცხვას აქ არავინ აპირებს, ის სიცოცხლე რაღა სიცოცხლე იქნება, როცა ამ მთებს ველარ დავინახავ, აქაურ წყალს ვერ დავლევ, მაგრამ ჩვენც ხომ ხალხი ვართ, ქართველები, ჩვენც ხომ მეოცე საუკუნის მიწურულში ვცხოვრობთ?! ასე ველურებივით როდემდე ვეყაროთ, ქვის ხანიდან როდის გამოვიდეთ, სამართალი აღარ არის ქვეყანაზე? არც ტელევიზორი, არც ტელეფონი, არც კინო-თეატრი, არც გზა და არც კვალი! მიიხედ-მოიხედეთ, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, სად გეგულებათ ამ დღეში ჩაყრილი ხალხი?!

სანუგეშო სიტყვა რომ არა გვქონოდა, მე და ჩემი თანამგზავრები, ახლახან შექმნილი საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭის“ წევრები, ამ, ხალხთან მისვლას და მათ ჭირვარამზე საუბარს როგორ გავბედავდით!

რა არის ეს სანუგეშო სიტყვა? კოლექტიური მეურნეობის უკვე დრომოჭმული ფორმების ერთხელ და სამუდამოდ უკუგდება, ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობაზე გადასვლა! თუნდაც სამი-ოთხი წლის წინათ ამაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო, არამცთუ მისი განხორციელება! ქვეყანა დუღს, მოვლენები ელვის უსწრაფესად ვითარდება. ის, რასაც ხორცი მხოლოდ ორი-სამი და მეტი წლის შემდეგ უნდა შებმოდა, დღეს უკვე კარზე გვიკაკუნებს.

საგლეხო მეურნეობა, დღესდღეობით უპირატესად მთის რეგიონებში რომ ინერგება, არსებითად ისაა, რაც ოცდაათიან წლებში დაინგრა და მოიშალა. გლეხს მიწა მუდმივი სარგებლობისათვის საშვილიშვილოდ ეძლევა. მას შეუძლია, ეს მიწა თავის შეხედულებისამებრ გამოიყენოს, აამენოს ზედ მისთვის საჭირო დროებითი თუ მუდმივი ნაგებობები, შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მიწის დასამუშავებლად და მიღებული პროდუქციისათვის სასაქონლო სახის მისაცემად, იქონიოს საკუთარი ავტოტრანსპორტი ტვირთების გადასატანად, გახსნას ბანკში სათანადო ანგარიში და მიიღოს სახელმწიფოსაგან კრედიტი მეურნეობის ფეხზე დასაყენებლად, საჭირო იარაღებისა და აპარატურის შესაძენად. გლეხს ამიერიდან საშუალება ეძლევა, თავის მეურნეობაში განუსაზღვრელი რაოდენობის მერძეული და სახორცე პირუტყვი, ფრინველი თუ ფუტკარი იყოლიოს. როგორც ნარმოება, ასევე გასაღება გლეხის შეხედულებისდა მიხედვით ხდება. ის ამიერიდან პიროვნებაა და არა უსახო სამუშაო ძალა! შეუძლია, თავისი პროდუქცია სახელმწიფო დამზადების ორგანოებს ორმხრივი გარიგების მიხედვით ჩააბაროს, ანდა იგივე საქონელი ბაზარში გაიტანოს გასაყიდად. როგორც საქართველოს

აგრომრეწვის შესაბამის ინსტანციაში გვითხრეს, ცოცხალი ნონა კილოგრამი ხორცის მოსახლეობისაგან შესასყიდი ფასი ოთხი მანეთია, რაც დიდად აღემატება აქამდე მოქმედ იმავე ხორცის სავალდებულო ჩაბარების ფასებს.

უფრო სარწმუნო რომ იყოს, რასაც აქ ვწერ, ზედმეტი არ იქნება დავსძინო, რომ ეს ფრიად საჭირო ინფორმაცია საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბატონ ლუდვიგ ღურწკაიასაგან მომდინარეობს.

ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის შემოღება და დამკვიდრება სულაც არ უარყოფს რამდენიმე მეურნეობის ნებაყოფლობით კოოპერირებას, ამით სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ერთობლივად შესყიდვა-გამოყენებას, წარმოების თვითღირებულების შეკცირებას და შემოსავლის ზრდას.

რა მოწყურებული ეწაფება ხალხი ყოველ ახალ სიტყვას. ყველა ყურებად და თვალებად ქცეულა. დაიჯერონ, თუ, როგორც აქამდე ხდებოდა, ცალ ყურში შეუშვან და მეორეში გაუშვან? ყოველივე ეს შეიძლება შედარებით ადვილად წამოსაწყები საქმე იყოს, მთიელ რაჭველებს სხვა, უფრო ადრე გადასაწყვეტი თავსატეხი პრობლემები რომ არა ჰქონდეთ. ესაა დანგრეული გზის კაპიტალური აღდგენა, გარე სამყაროსთან საიმედოდ დაკავშირება და ახალი სამოსახლოების გამნახვა სამათეულზე მეტი კომლისათვის, რომლებიც ღვარცოფისა და მეწყრის ზონაში მოჰყვნენ.

ამას გარდა, სამშენებლო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით გასამაგრებელია რიონის ნაპირები ორივე სოფლის მთელ სიგრძეზე, აღსადგენია ღებში შემავალი ხიდი, რომელიც შარშანდელმა წყალდიდობამ დაანგრია და დღემდე მიტოვებულია.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ჭიორის ჭალაზე ერთობ ძვირად ღირებული გასამაგრებელი სამუშაოები ჩატარდა, ჩაიწყო ჯებირის ფილები, მაგრამ სპეციალისტებმა ადიდებული რიონის მაქსიმალური დამანგრეველი ძალა სწორად ვერ გამოთვალეს, წყალმა ჯებირი გაარღვია, გადააბრუნა და წაიღო. რიონი ჭამს ნაპირებს, გაღმა-გამოღმა სავარგულები იმეწყრება და სამოსახლოდ ან დასამუშავებლად სრულიად გამოუსადეგარი ხდება.

— მაინც სად არჩევთ, რომ დასახლდეთ? — ვეკითხები იმათ, ვინც მეწყრის ზონაშია მოხვედრილი და სრულიად სამართლიანად სამოსახლოს მოცვლას მოითხოვს.

დაასახელეს ადგილები, მათ შორის რაიონული ცენტრი ონი, რომელშიც ბოლო დროს ბევრი ახალი სახლი აშენდა, მაგრამ შარშანდელმა წყალდიდობამ დაგვარწმუნა, რომ ეს წყალსაცავში ადგილებია და აქ შემდგომი განაშენიანება მოსახლეობას საფრთხეს შეუქმნის.

— მაშ, სად გეგულებათ სხვაგან ადგილი, ოცდაათი და მეტი სახლის ასაშენებელი ნაკვეთი რომ გამოიყოს? ონში ისეთი სივიწროვეა, თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებს!

ყველა ერთხმად ასახელებს ჩიტაურის მაღლობს, რომელიც ქალაქს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აკრავს და თავზე დაჰყურებს. აქ ადრე სორტუანის სამკურნალო კომპლექსის კორპუსების აგება იყო გათვალისწინებული, მაგრამ ამ ამოცანის გადასაჭრელად ბოლო დროს სხვა გზა გამოინახა და გაჩნდა საშუალება, გამოთავისუფლებული მინის ფართობი სამოსახლოების გასაცემად გამოიყოს. უკანასკნელი გადაწყვეტილება ონის ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა ახლახან მიიღეს და გამოზაფხულებისთანავე აქ მშენებლობის გაჩაღებას წინ აღარაფერი დაუდგება.

გარდა ამისა, როგორც საწარმოო გაერთიანება სამთო ქიმიაში გვაცნობეს, ონში ამავე გაერთიანების სახსრებით აიგება ახალი სამოცბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიაც ბარიტის წარმოებაში დასაქმებულ და ბინის მიღების რიგში მდგომ ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად სტიქიური უბედურებით დაზარალებულ ოჯახებსაც შეეხსახლებენ. აქვე მოხდება მათი დასაქმება ქალაქის მეურნეობასა და ჩორდის ბარიტის მომპოვებელ საწარმოებში, სადაც თითოეული მუშის ყოველთვიური გამომუშავება სამას მანეთზე მეტია.

წელსვე გათვალისწინებულია სამუშაოების დაწყება ონში ბუნებრივი გაზის მაგისტრალის შემოსაყვანად, რომლის ბოლო წერტილები მაღალმთიან კურორტ შოვსა და რიონის ზემოწელის სოფლებში ჭიორასა და ღებში იქნება. სათბობის სახელმწიფო კომიტეტის მეცადინეობით და რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მხარდაჭერით გამოყოფილია სახსრები სოფლებში გაზის გამანაწილებელი ქსელის დასაპროექტებლად და მოსაწყობად. ყველა სიკეთეს რომ თავი დავანებოთ, რაც ამას უნდა მოჰყვეს, ძლივს სულის ამოთქმა ეღირსება აქაურ ტყეებს, მრავალი წლის მანძილზე რაიონის მოსახლეობის შეშით მომარაგების მიზნით უწყალოდ რომ იჩეხება და ჩანაგდება. არადა, ვის არ მოეხსენება, წიფლის მერქანი, ერბოსავით რომ ღვივის, ჩვენ რომ ბარბაროსულად ვეპყრობით და შეშად ვიყენებთ, უძვირფასესი მასალაა ავეჯის, დასამზადებლად და დასავლეთის ბევრ კულტურულ ქვეყანაში ის წონით იყიდება.

რაც შეეხება გზას, „აბობოქრებულმა რიონმა რომ თავიდან გასაყვანი გაგვიხადა, მის აღსადგენად და გასაუმჯობესებლად რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ უკვე გამოყო მილიონ რვაასი ათასი მანეთი. ამ თანხის ნაწილი, ცხრაას სამოცი ათასი მანეთი, წლეულს დაიხარჯება და გზა ონიდან საგლოლოდან ააღწევს. დანარჩენი თანხის დაბანდება და საგლოლოდან ღებამდე სრულფასოვანი გზის მიყვანა განზრახულია საგაისოდ.

აღდგება ჩვეშურის ხიდი ღებში. სამუშაოების დასაწყებად ასი ათასი მანეთია გადადებული.

სათანადო სამთავრობო დოკუმენტი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 9 ოქტომბრის № 500 დადგენილება, თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბატონ ოთარ ქვილითაიას ხელმოწერით, წინ მიდევს. ახლა ჯერი რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზათა მინისტრ ბატონ ბორის სარალიძეზეა მიმდგარი, რომლისადმი დაქვემდებარებულმა სამმართველოებმა აღნიშნული სამუშაოს შესრულება უნდა იტვირთონ.

საქმე არცთუ ისე უიმედოა, როგორც ამჟამად თვალის ერთი შევლებით ჩანს. მე შორს არ მეჩვენება ის სანატრელი დრო, როდესაც მთის რაჭაში დანერგილი გლეხური მეურნეობა წელს წამოსწევს, მთელ თავის შესაძლებლობას გამოავლენს, მომაგრდება, აქაურ კაცს ზამთარ-ზაფხულ სამუშაოს გაუჩენს, დღესდღეობით უდიერად მიტოვებულ მარჩენალ მიწას, სათიბ-საძოვრებს კვლავ ოქროს ფასი დაედება და აქამდე სადღაც გადამალული მამაპაპური ეკლესიის ზარიც აგუგულებდა ახალთაობის ხელით მკვდრეთით აღმდგარი საყდრის სამრეკლოზე. ეს ხომ მთის რაჭის ახალი სიცოცხლის დასაბამი იქნება! მაშინ ეს თავზე წამომდგარი განსაცდელი, ჩვენს გვარსა და ჯილაგს გაქრობითა და პირისაგან მინისა აღგვით რომ ემუქრება, კეშმარული სიზმარივით წარსულს ჩაბარდება, ვითომ არც ყოფილა და მთის რაჭის უძველესი ისტორიული სოფლები: გლოლა, ღები და ჭიორა კვლავაც საიმედო მენაპირედ ეყოლება თავისუფალ დედა-სამშობლოს — დამოუკიდებელ საქართველოს.

რევაზ ჯაფარიძე.

• • •

სიმონ კილაძის ფოტო.

„სუფ? კი ბატონო სუფ! მაგრამ როდემდე?“

წერილი „კომუნისტს“

ჯერ კიდევ 1988 წლის 14 ნოემბერს გამოქვეყნდა ჩემი კრიტიკული წერილი სათაურით — „არბიტრაჟი: მედლის ორი მხარე“. ეს იყო პირველი კრიტიკული წერილი, რომელიც დაბეჭდა ჩვენს პრესაში არბიტრაჟის საქმიანობის შესახებ მისი არსებობის პერიოდში და, ცხადია, მან თავისებური აჟიოტაჟი გამოიწვია.

აღნიშნულ წერილში ყურადღება გავამახვილე არბიტრაჟში წლობით დამკვიდრებული პროცესუალური ნორმების უხეშ დარღვევებზე, რომლებიც უარყოფით როლს თამაშობენ გადასაწყვეტი საქმის საბოლოო შედეგებზე.

გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ მაშინდელი ჩემი შენიშვნები არბიტრაჟის საქმიანობაზე მხოლოდ ზღვაში წვეთი იყო.

გაუთვითცნობიერებელ მკითხველს უნდა მოვახსენო, რომ საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟში გადის ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი არტერია, იგი უფლებამოსილია განიხილოს ყველა ქონებრივი თუ არაქონებრივი დავა, რომელიც საქართველოს საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შორის წარმოიშვება, აგრეთვე სხვა რესპუბლიკების ორგანიზაციების მიერ ჩვენთვის წარმოდგენილი საჩივრები. ფაქტიურად არბიტრაჟი რესპუბლიკის უზენაესი სამეურნეო სასამართლოა და მას, როგორც უზენაეს სასამართლო ორგანოს, დიდი ეროვნული ფუნქცია აკისრია.

ჩემი წერილი ასე მინდა დავიწყო: არ მესმის, რატომ ჰქვია ჩვენს არბიტრაჟს საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟი და რატომაა მის ფირნიშზე (დავით აღმაშენებლის პროსპექტი, № 80) დიდი ასოებით გაკეთებული წარწერა „საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი“?!

ხატზე შემიძლია დავფიცო, რომ სამი ათეული წელია, რაც არბიტრაჟში დავდივარ და ჯერ არ შემხვედრია ისეთი საარბიტრაჟო საქმე, რომელიც ქართულ ენაზე წარმართულიყოს ან ქართულ ენაზე დაწერილი გადაწყვეტილების გამოტანით დამთავრებულიყოს. როგორც წესი, და ამ წესს დღეს არავითარი გამონაკლისი არა აქვს, საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟში საქმის წარმოება და ყოველგვარი მიწერ-მოწერა მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობს. ღმერთო შემიცოდე და გული მიკვდება ხოლმე ტელევიზიაში მავანსა და მავანს რომ ვედავებთ, ესაო და მაღაზიის თუ წარმოების ფირნიშზე ქართული წარწერა არ არისო.

ჩვენს არბიტრაჟში ხშირად შევსწრებივარ „ძველი ვოდევილების“ მსგავს სასაცილო თუ სატირალ სიტუაციებს, როდესაც რუსული ენის ცუდად მცოდნე ან არმცოდნე ქართველი იურისკონსულტები და სხვა სამეურნეო ხელმძღვანელები სახელმწიფო არბიტრებთან თარჯიმნის მეშვეობით საუბრობენ, იმ თარჯიმნების მეშვეობით, ვოდევილების გმირებივით რომ განუმარტავენ რუსულენოვან არბიტრებს ჩვენს „ქართულ გასაჭირს“. დაე მკითხველმა თვითონ წარმოიდგინოს როგორი შედეგით დამთავრდება ასეთნაირად გარჩეული საქმე, რომლის საბოლოო პროდუქტი რუსულ ენაზე „ჩაგვირისტებული“ გადაწყვეტილებაა.

მკითხველს ისიც უნდა ვაცნობო, რომ ამ „ჩაგვირისტებას“ სხვა სილრმისეული და ერთობ მომაკვდინებელი შედეგებიც მოსდევს, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის ყველა წარმოება-დაწესებულება, რომლებსაც საქმე სახელმწიფო არბიტრაჟთან აქვთ, ცდილობენ შემდგომი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ყოველგვარი იურიდიული დოკუმენტაცია მხოლოდ რუსულ ენაზე შეადგინონ. ასე, შეუთანაღებელი თვალისათვის შეუმჩნეველად, ჩვენ ერთ-ერთ საგულისხმო ფაქტს ვაკეთებთ. ეს ფაქტი ისაა, რომ ჩვენ ოფიციალურ ენად ვიღებთ ენას, ანუ ენას, ანუ ენებს, ანუ ენებიდან ერთ-ერთ ენას, ანუ ენებიდან ერთ-ერთ ენას, ანუ ენებიდან ერთ-ერთ ენას, ანუ ენებიდან ერთ-ერთ ენას, ანუ ენებიდან ერთ-ერთ ენას, ანუ ენებიდან ერთ-ერთ ენას, ანუ ენებიდან ერთ-ერთ ენას, ანუ ენებიდან ერთ-ერთ ენას, ანუ ენებიდან ერთ-ერთ ენას, ანუ ენებიდან ერთ-ერთ ენას, ანუ ენებიდან ერთ-ერთ ენას, ანუ ენებიდან ერთ-ერთ ენას, ანუ ენებიდან ერთ-ერთ ენას, ანუ ენებ

თანამედროვეობა და ისტორია შეულამაზებლად: ფიქრები ხმამაღლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან ადვაძე:

„რატომ უნდა ზოგიერთ რესპუბლიკას კავშირიდან გასვლა...“

(დასასრული)

ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების, საინვესტიციო და საამორტიზაციო პოლიტიკის საკითხებში რესპუბლიკების საქმიანობის კოორდინაცია;

— შრომის ანაზღაურების, საპენსიო და სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახეობათა მინიმალური ოდენობის დადგენა;

— საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა;

— საბაჟო კონტროლის ორგანიზაცია, ეკონომიკური ზონების საზღვრების დადგენა და ა. შ.

მოდით, ახლა დავსვათ კითხვა: დარჩა კი ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური ცხოვრების სფერო, სადაც ცენტრი არ ეროდეს და ყველაფერს ზემოდან არ განსაზღვრავდეს მოკავშირე რესპუბლიკებში და ავტონომიურ ფორმირებებში?

არა, არ დარჩა! რჩება საკავშირო საკუთრება, სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგთა საწარმოების საკავშირო დაქვემდებარება და, მაშასადამე, საკავშირო სამინისტროების დიქტატი, რჩება ძველი ფორმები საფინანსო ურთიერთობისა ცენტრსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის და ა. შ.

ამიტომ შეუძლებელია კანონპროექტის ამ პირველი მუხლის შემდეგ ღიმილის გარეშე წაიკითხო მეორე მუხლის პირველი პუნქტი, რომ „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები უფლებამოსილი არიან გადაწყვიტონ ეკონომიური და სოციალური ცხოვრების ყველა საკითხი, იმათი გამოკლებით, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციითა და წინამდებარე კანონით მიკუთვნებულია სსრ კავშირის გამგებლობისათვის“.

ერთი სიტყვით, თითქმის ყველაფერი რჩება ისე, როგორც არის: რესპუბლიკების უუფლებობა, ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე, სუვერენიტეტზე მათ უარს ეუბნებიან. ცენტრს არ სურს ეკონომიკური ძალაუფლების ხელიდან გაშვება, თანაც, თვითონ არ შეუძლია მისი გამოყენება, ეკონომიკის მართვა. იგი არ უსმენს კუზმა პუტკოკოს შეგონებას: „შეუძლებელია გასწვდე უკიდეგანოს“.

არადა, სწორედ ცენტრის სწრაფვამ, რომ „გასწვდეს უკიდეგანოს“ მიიყვანა ყველა რესპუბლიკა და მთლიანად ქვეყანა ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ და ზნეობრივ კრიზისამდე, ეროვნებათაშორის სისტხლისღვრამდე, ამაზე შორს ვეღარ წახვალ!

მოცემული კანონპროექტით კიდევ ერთხელაა განსაზღვრული ჩარჩოები, უფრო ზუსტად კი შემოთავაზებულია გალა, როგორც ეს შეამწყვდევენ, და კიდევ უფრო ზუსტად, უკვე პრავალი ათეული წელია შემწყვდევულები არიან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ფორმირებები, სადაც მათ შეუძლიათ „თავისუფლად“ იმეურნონ, გადაწყვიტონ ის პრობლემები, რომლებიც მათ შეუქმნა და უქმნის ცენტრი. მაგრამ, როგორც ამბობენ, პრობლემების ეფექტიანად გადაწყვეტა თავისუფალთა ხვედრია, ხელფეხშეკრულნი მათ ვერ გადაწყვეტენ.

არ მსურს შევეხო კანონპროექტის ტექსტს მთლიანად, რომლის მომართაც უამრავი შენიშვნა მაქვს, მაგრამ ერთი რამ მაინც არ შეიძლია არ ვთქვა. სსრ კავშირის კომპეტენციაშია: „სსრ კავშირის მიერ სახელმწიფო სესხებისა და ეკონომიკური დახმარების მიცემა უცხოური სახელმწიფოებისთვის, ხელშეკრულების დადება სსრ კავშირის მიერ უცხოური წყაროებიდან მიღებული სახელმწიფო სესხებისა და კრედიტების შესახებ“. ეს ადგილი ადრე საერთოდ არ ყოფილა.

